წარმოგიდგენთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ 112-ის შენობის ესკიზურ პროექტს.

საპროექტო შენობა განთავსებულია ქ. რუსთავში. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენდა დასასვენებელი ბაღის ნაწილს.  დღეის მდგომარეობით საპროექტო ტერიტორია დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ბაღს ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხრიდან კერძო ნაკვეთებს, ხოლო ნაკვეთამდე მისვლა ხორციელდება სამხრეთის მხრიდან. საპროექტო შენობა განთავსებულია ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, რათა მოხდარიყო ტერიტორიის მახსიმალური გამოყენება. შენობის პირველი სართული ბაღის მხარეს გადის ყრუ კედლით, რაც უზრუნველყოფს მის მაქსიმალურ იზოლაცია ბაღის მხრიდან და თავის მხრივ შენობაც არ ერევა დასასვენებელი ბაღის ფუნქციონირებაში. მისასვლელი გზის მხარეს განთავსებულია შიდა ეზო, რაც წარმოქმნის დამატებით სივრცეს გზის სავალი ნაწილიდან შენობამდე. საპროექტო შენობა განთავსებულია ორ სართულზე პირველი სართულის ძირითადი მაწილი უჭირავს საოპერატოროს დარბაზს, დარბაზი განთავსებულია ნაკვეთის დასავლეთ მხარეს ბაღის გასწვრივ და მისგან იზოლირებულია 4 მეტრის სიმაღლის კედლით, კედლიდან 1.7 მეტრის მოშორებით განთავსებული საოპერატოროს შემინული კედელი რითაც წარმოიქმნება საოპერატოროსა და კედელს შორის იზოლირებული ეზო, ამ სივრიცის საშუალებით ხდება დარბაზის ბუნებრივი განათება და განიავება, მუხდება საოპერატოროს ეზოს გამწვალება რაც კარგ სამუშაო გარემნოს შეუქმნის ტანამშრომლებს. პირველ სართულზე ასევე განთავსებულია საწყობი, საშვთა ბიურო, დაცვა, საკომენდანტო და მეორე სართულზე ასასვლელი კიბე, მეორე სართულზე დაყოფილია ორ ბლიკად პირველ ბლოკში ერთმანეთის მიმდებარედ განთავსებულია დასასვენებელი ოთახები, განმუხტვის ოთახი და სასადილო. მეორე ბლოკი დათმობილი აქვს ადმინისტრაციას და სათათბირო დარბაზს. შემონა წარმოადგენს რკინაბეტონის კონსტრუქციას სამშენებლო ბლოკის შევსებით. შენობის ექსტერიერი შეილესება და შეღებება ორი სხვადასხვა ფერის საღებავით. მეორე სართულის ფანჯრები დაიფარება მეტალის ბადით.